განათლების საერთაშორისო სტანდარტი 5

საწყისი პროფესიული განვითარება – პრაქტიკული გამოცდილება (2015)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო 1-8

ძალაში შესვლის თარიღი 9

მიზანი 10

მოთხოვნები

პრაქტიკული გამოცდილება 11-16

პრაქტიკული გამოცდილების ზედამხედველობა და მონიტორინგი 17-20

ახსნა-განმარტებითი მასალა

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ა1–ა4

მიზანი ა5–ა6

პრაქტიკული გამოცდილება ა7–ა9

შედეგის პარამეტრებით შეფასება ა10

საწყისი პარამეტრებით შეფასება ა11-ა13

კომბინირებული მიდგომა ა14

პრაქტიკული გამოცდილების ზედამხედველობა და მონიტორინგი ა15–ა21

შესავალი
სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა1–ა4)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს მოთხოვნებს პრაქტიკული გამოცდილებისთვის, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს.

2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წევრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უზრუნველყონ იმის გარანტია, რომ საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამა დააკმაყოფილებს ამ გსს-ის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ეს სტანდარტი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სასწავლო დაწესებულებების, დამსაქმებელი ორგანიზაციების, მარეგულირებელი ორგანოების, სახელმწიფო უწყებებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც მატერიალურად უწყობს ხელს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლებასა და განვითარებას.

3. პრაქტიკული გამოცდილება დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და ასევე სხვა საქმიანობებთთან, რომლებიც აუცილებელია პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებისთვის. პრაქტიკული გამოცდილება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია. საწყისი პროფესიული განვითარება არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები, უპირველეს ყოვლისა, ეუფლებიან კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად.

4. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული გამოცდილება ეყრდნობა ზოგად განათლებასა და ბუღალტერთა პროფესიული განათლების პროგრამებს. საზოგადოება მოელის, რომ პროფესიონალი ბუღალტრები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებენ დაკისრებული როლის/ფუნქციების შესასრულებლად. ამასთან, პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შესრულებული ფუნქციების მრავალფეროვნება იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკული გამოცდილებისთვის დადგენილი მოთხოვნები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს ბსფ-ის წევრ სხვადასხვა ორგანიზაციაში და უფრო მეტიც, თვითონ ბსფ-ის ცალკეული წევრი ორგანიზაციის ფარგლებშიც კი, რომელსაც სხვადასხვა ტიპის წევრები ჰყავს. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი წევრების პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნების იმგვარად ადაპტირება, რომ დააკმაყოფილონ (ა) საკუთარი მოთხოვნილებები; (ბ) შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები და ასევე (გ) საზოგადოების მოლოდინი იმის თაობაზე, რომ პროფესიონალი ბუღალტრები კომპეტენტურები არიან.

5. წინამდებარე გსს მოთხოვნებს ადგენს პრაქტიკული გამოცდილებისთვის, რომელიც უნდა შეიძინონ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში.
6. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულების შემდეგ, შესაძლოა აუცილებელი გახდეს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების მიღება, რათა პროფესიონალი ბუღალტრები დაეუფლონ კომპეტენტურობის ისეთ დონეს, რაც აუცილებელია სხვა ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა, მაგალითად (ა) სავალდებულო აუდიტორი (აუდიტორი, რომელიც აუდიტს ატარებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად) (ბ) სხვა სახის სპეციალიზაცია, ან (გ) ისეთი ფუნქციები, რომლებიც რეგულირებას ექვემდებარება. გარდა ამისა, ყველა პროფესიონალი ბუღალტერი გადის სწავლებას მთელი ცხოვრების მანძილზე, რათა მათ მუდმივად განივითარონ და შეინარჩუნონ პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონე.

7. პრაქტიკული გამოცდილების კურატორები და დამსაქმებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილების დაგემვისა და მათ მიღწევებზე მონიტორინგის განხორციელების საკითხში.

8. წინამდებარე სტანდარტსა და *პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში* (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ *ტერმინების გლოსარში* (2015)

ძალაში შესვლის თარიღი

9. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2015 წლის 1 ივლისიდან.

მიზანი (იხ. პუნქტები ა5–ა6)

10. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა შეიძინონ საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად.

მოთხოვნები (იხ. პუნქტები ა7–ა21)

პრაქტიკული გამოცდილება (იხ. პუნქტები ა7–ა9)

11. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს შესრულებული ჰქონდეთ პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნა.
12. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ პრაქტიკული გამოცდილების საკმარისი პერიოდი, რაც პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს იმის დემონსტრირების შესაძლებლობას მისცემს, რომ ისინი დაეუფლნენ პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად აუცილებელ (ა) ტექნიკურ კომპეტენტურობას, (ბ) პროფესიულ უნარებსა და (გ) პროფესიულ ფასეულობებს, ეთიკასა და ქცევას.
13. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პრაქტიკული გამოცდილების შესაფასებლად უნდა განსაზღვრონ მათთვის უპირატესი მიდგომა, შემდეგი სამი მიდგომიდან:
    - შეფასება მიღწეული შედეგის პარამეტრებით;
    - საწყისი პარამეტრებით შეფასება; ან
    - შეფასების ზემოაღნიშნული ორი მეთოდის ერთობლივად გამოყენება.

შედეგის პარამეტრებით შეფასება (იხ. პუნქტი ა10)

14. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედეგის პარამეტრებით შეფასების მეთოდს იყენებენ, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს უნდა მოსთხოვონ, შედეგის პარამეტრების გამოყენებით, იმის დემონსტრირება, რომ მათ შეიძინეს პრაქტიკული გამოცდილება.

საწყისი პარამეტრებით შეფასება (იხ. პუნქტები ა11–ა13)

15. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საწყისი პარამეტრებით შეფასების მეთოდს იყენებენ, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს უნდა მოსთხოვონ, საწყისი პარამეტრების გამოყენებით, იმის დემონსტრირება, რომ მათ შეძენილი აქვთ პრაქტიკული გამოცდილება.

კომბინირებული მიდგომა (იხ. პუნქტი ა14)

16. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პრაქტიკული გამოცდილების შესაფასებლად ერთობლივად იყენებენ შედეგის პარამეტრებით შეფასებისა და საწყისი პარამეტრებით შეფასების მეთოდებს უნდა უზრუნველყონ მე-14 და მე-15 პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, რომლებიც ეხება შედეგის პარამეტრებით შეფასებასა და საწყისი პარამეტრებით შეფასებას.

პრაქტიკულ გამოცდილების ზედამხედველობა და მონიტორინგი (იხ. პუნქტები ა15–ა21)

17. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ პრაქტიკული გამოცდილების კურატორის ხელმძღვანელობით.

18. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებმა აწარმოონ პრაქტიკული გამოცდილების ჩანაწერები ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ დადგენილი სათანადო ფორმით, ან, როდესაც შესაფერისია, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ფორმით, რომელიც განმტკიცებული იქნება სათანადო მტკიცებულებებით, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარება (შემოწმებადი მტკიცებულებებით).
19. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ, რომ პრაქტიკული გამოცდილების კურატორი პერიოდულად ატარებდეს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების პრაქტიკული გამოცდილების ჩანაწერების მიმოხილვას.
20. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა დაადგინონ შეფასების სათანადო პროცედურები, რომლის მიხედვითაც შეაფასებენ, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატმა შეიძინა თუ არა საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება.

ახსნა-განმარტებითი მასალა

სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. 1-8 პუნქტები)

ა1. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი არის ფიზიკური პირი, რომელიც ჩართულია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის მეშვეობით. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამაში პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნის ჩართვა ქმნის ფუნდამენტს პროფესიონალი ბუღალტრის მთელი კარიერის მანძილზე მისი პროფესიული კომპეტენციის მუდმივი განვითარებისთვის.

ა2. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს დაეხმაროს სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. ამგვარი პროგრამები შეიძლება მოიცავდეს ფორმალურ განათლებას, რომლის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციებისა (ხარისხების) და კურსების მეშვეობით, ასევე სამუშაო ადგილებზე სწავლებით. ამგვარად, შესაძლებელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მოდელში, საწყისი პროფესიული განვითარების ეტაპზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ჰქონდეთ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების გარდა სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც.
ა3. პროფესიული კომპეტენტურობის ტერმინის დახასიათება და კლასიფიცირება შესაძლებელია მრავალნაირად. განათლების საერთაშორისო სტანდარტებში პროფესიული კომპეტენტურობა აღნიშნავს გარკვეული სტანდარტებით განსაზღვრული როლის შესრულების უნარს. პროფესიული კომპეტენტურობა მოიცავს ტექნიკურ კომპეტენციას, პროფესიულ უნარებს, პროფესიულ ფასეულობებს, ეთიკისა და ქცევის ნორმებს.
ა4. პრაქტიკული გამოცდილების შეძენა ქმნის ისეთ პროფესიულ გარემოს, სადაც პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები ეუფლებიან და ავითარებენ კომპეტენტურობას იმით, რომ:
   ა) მათთვის ცნობილი ხდება გარემო, რომელშიც მოუწევთ მომსახურების გაწევა;
   ბ) უფრო ნათელ წარმოდგენას იქმნიან ორგანიზაციებისა და მათი მუშაობის მეთოდების, ასევე პროფესიული სამუშაო ურთიერთობების შესახებ;
   გ) შეუძლიათ ბუღალტრული აღრიცხვის (ბუღალტრული) სამუშაოს დაკავშირება ორგანიზაციის სხვა ფუნქციებთან და საქმიანობებთან;

დ) პრაქტიკულად, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ივითარებენ პროფესიული ფასეულობებს, ეთიკისა და ქცევის ნორმებს (იხ. ასევე გსს 4 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა*“ (2015); და

ე) განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ პასუხისმგებლობის თანდათანობით გაზრდილ დონეებზე, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობენ სათანადო დონის ზედამხედველობის პირობებში.

მიზანი (იხ. მე-10 პუნქტი)

ა5. საკმარის პრაქტიკულ გამოცდილებაში შერწყმულია სიღრმე და მასშტაბურობა, თეორიული ცოდნა და პრაქტიკა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ცოდნის სხვადასხვა სფეროს მასალის ერთობლივად გამოყენება სხვადასხვა სიტუაციასა და კონტექსტში. პრაქტიკული გამოცდილების მასშტაბურობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პროფესიონალი ბუღალტრის როლის/ფუნქციების ხასიათი; პროფესიული კვალიფიკაციის დონე; ეროვნული ან ადგილობრივი კანონები; მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნები და საზოგადოების მოლოდინი პროფესიულ კომპეტენციასთან დაკავშირებით. პრაქტიკული გამოცდილების სიღრმეზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: დავალებების მრავალფეროვნება და სირთულე, ასევე ზედამხედველობისა და მონიტორინგის დონე.

გ6. პროფესიონალი ბუღალტრების აღჭურვა სრულყოფილი საკმარისი პრაქტიკული გამოცდილებით, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად, რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დაცული საზოგადოებრივი ინტერესები და ამაღლებდა პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობა, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესრულების უფლება მხოლოდ იმ პიროვნებებს ექნებათ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიის კომპეტენტურობის მოთხოვნებს. მეორე, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებსა და მარეგულირებელ ორგანოებს დაეკისრებათ პსუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე, რომ პროფესიონალ ბუღალტრებს ჰქონდეთ ისეთი დონის კომპეტენტურობა, როგორსაც მოელის მათგან საზოგადოება, დამსაქმებლები და დამკვეთები. მესამე, პროფესსიონალ ბუღალტრებს ექნებათ მუდმივი ვალდებულება, შეინარჩუნონ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთი დონე, რომ დამკვეთებს, დამსაქმებლებსა და შესაბამის დაინტერესებული მხარეებს გაუწიონ კომპეტენტური პროფესიული მომსახურება.[1]

პრაქტიკული გამოცდილება (იხ. 12-13 პუნქტები)

გ7. საწყისი პროფესიული განვითარება ეყრდნობა ზოგად განათლებასა და ამავე დროს მოიცავს ბუღალტრის პროფესიულ განათლებას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეფასებას. ამ კომპონენტების სათანადო/ოპტიმალური კომბინაცია სხვადასხვა გარემოში შეიძლება სხვადასხვანირი იყოს და მასზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, მაგალითად, დავალებების მრავალფეროვნება და სირთულე, აუცილებელი სპეციალიზებული ცოდნა, ავტონომიურობისა (დამოუკიდებლობის) და განსჯის დონე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატმა შეძლოს იმ როლის/ფუნქციების შესრულება, რაც მას მოეთხოვება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას. ასევე შეიძლება განსხვავებული იყოს პრაქტიკული გამოცდილებისა და განათლების კომპონენტების თანაფარდობა, რაც დამოკიდებული იქნება შემდეგ ფაქტორებზე: (ა) ბსფ-ის ცალკეული წევრი ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებზე; (ბ) ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებზე; (გ) მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებსა და (დ) საზოგადოების მოლოდინზე.

გ8. იმის დასადგენად, რა იქნება სათანადო დაბალანსებული თანაფარდობა პროფესიონალი ბუღალტრების განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

ა) პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნის შესრულებას შეიძლება ხელი შეუწყოს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების ზოგიერთმა პროგრამამ, რომელიც განსაკუთრებულ

1. შესავალი და ძირითადი პრინციპები, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.*

ყურადღებას ამახვილებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე, როგორიცაა სტაჟირება, ინტერნატურა, სწავლება მუშაობის პარალელურად და მივლინება;

ბ) აკადემიური ცოდნის ან პროფესიული კვალიფიკაციის მიღება სასარგებლო და აუცილებელია ბუღალტრების პროფესიული ცოდნის შესაძენად და მიღებული ცოდნის დემონსტრირებისთვის. თუმცა, სწავლა, თავისთავად, არ გვიჩვენებს, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები დაეუფლნენ პროფესიული კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად. სამუშაო გარემოში მიღებული გამოცდილება პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს ბევრი ისეთი უნარით აიარაღებს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ გახდეს კომპეტენტური პროფესიონალი ბუღალტერი;

გ) პრაქტიკული გამოცდილების შეძენა შესაძლებელია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამის დასრულების შემდეგ, ან ამგვარი პროგრამის პარალელურად.

ა9. პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნების დადგენისას ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

ა) საზოგადოებრივი ინტერესი, მათ შორის, ადგილობრივი გარემოს ცოდნა, საზოგადოების მოლოდინები და შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნები;

ბ) პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების მოთხოვნილებები, მათ შორის, მათთვის ნათელი წარმოდგენის შექმნა იმ როლის/ფუნქციების შესახებ, რომლის შესრულებაც უნდა შეძლონ საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას;

გ) დამსაქმებლის მოთხოვნილებები, მათ შორის მწარმოებლურობა და დანახარჯების ეფექტიანობა და დამსაქმებელი რომელ სექტორში მოღვაწეობს: ეკონომიკის რომელიმე დარგში, სახელმწიფო სექტორში თუ საზოგადოებრივი პრაქტიკით არის დაკავებული; და

დ) ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მოთხოვნილებები, მათ შორის მარეგულირებელი მოთხოვნები, მწარმოებლურობა და დანახარჯების ეფექტიანობა.

შედეგის პარამეტრებით შეფასების მიდგომა (იხ. მე-14 პუნქტი)

გ10. სწავლის შედეგის პარამეტრებით შეფასების მიდგომის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი მტკიცებულებების გამოყენება:

ა) სწავლის მიღწეული შედეგების შეფასება კომპეტენტურობის გეგმის/სქემის შესაბამისად;

ბ) გამოკვლევის პროექტის ან რეფლექსური საქმიანობის (რეფლექსიის) ჩანაწერების მიმოხილვა; და

გ) პიროვნების სამუშაოს სარეგისტრაციო ჟურნალის ჩანაწერების შედარება სათანადო კომპეტენტურობის გეგმასთან/სქემასთან (პიროვნების სამუშაოს სარეგისტრაციო ჟურნალი არის დოკუმენტი, რომელშიც პიროვნება აწარმოებს დაკავებული თანამდებობებისა (ფუნქციების) და შესრულებული სამუშაოების აღწერას, ასევე მიუთითებს რა დრო დაუთმო ამ ფუნქციებისა და დავალებების შესრულებას).

საწყისი პარამეტრებით შეფასება (იხ. მე-15 პუნქტი)

გ11. საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომას ხშირად იყენებენ, როგორც კომპეტენტურობის მიღწეული დონის შეფასების შემცვლელ მიდგომას, რადგან ამ მეთოდით უფრო ადვილია შეფასება და შემოწმება. საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომას გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს, მაგალითად, ამ მეთოდით ყოველთვის არ არის შესაძლებელი სწავლის შედეგების ან მიღწეული კომპეტენტურობის პირდაპირ შეფასება. ტრადიციულად, საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომა ეყრდნობა დროის ფაქტორს, მაგალითად, შესაბამის საქმიანობაზე დახარჯული საათების რაოდენობას, ან პრაქტიკული გამოცდილების მთლიან ხანგრძლივობას (დღეები, თვეები ან წლები).

ა12. საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი მტკიცებულებების გამოყენება: დასწრების ჩანაწერები, ნამუშევარი დროის აღრიცხვის ბარათები, სამუშაო ადგილზე წარმოებული დღიურები და პიროვნების სამუშაოს სარეგისტრაციო ჟურნალები. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებს, რომლებიც საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომას იყენებენ, შეუძლიათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატის მიერ

გავლილი/დასრულებული განათლების პროგრამების სტრუქტურისა და ადეკვატურობის გათვალისწინება. პრაქტიკული გამოცდილების მთლიანი მოთხოვნის შესრულებას შეიძლება ხელი შეუწყოს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების ისეთმა პროგრამებმა, რომლებიც უზრუნველყოფს ისეთივე შედეგებს, რაც მიიღწევა სამუშაო ადგილებზე სწავლის შედეგად შეძენილი გამოცდილებით (როგორიცაა, ინტერნატურა). ანალოგიურად, თუ პიროვნებამ დაასრულა პროფესიონალი ბუღალტრების განათლების მნიშვნელოვანი/სოლიდური პროგრამა, (მაგალითად მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ბუღალტრულ აღრიცხვაში), ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს პრაქტიკული გამოცდილების კომპონენტის შემცირების მიდგომა. მაგალითად, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას, რომელიც საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომას იყენებს, შეუძლია სამი წლის პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნის დადგენა (რასაც ამჯობინებს და იყენებს ბსფ-ის ზოგიერთი წევრი ორგანიზაცია), ან ორი წლის გამოცდილება პლუს მაგისტრის ხარისხი ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა შესაფერის სფეროში, ან მინიმუმ 5 წელი ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლებისა და საკმარისი პრაქტიკული გამოცდილებისთვის მთლიანად.

g13. პროფესიონალი ბუღალტრების განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების კომპონენტებს შორის თანაფარდობის (ბალანსის) მიუხედავად, როგორც წესი, ყოველთვის ერთი და იგივეა საზოგადოების მოლოდონი: პროფესიონალ ბუღალტერს დასრულებული უნდა ჰქონდეს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამა და შეძენილი უნდა ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება.

კომბინირებული მიდგომა (იხ. მე-16 პუნქტი)

g14. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია კომბინირებული მიდგომის გამოყენება, რომელიც აერთიანებს შედეგის პარამეტრებითა და საწყისი პარამეტრებით შეფასების მიდგომებს. საწყისი პარამეტრები შეიძლება მიჩნეული იყოს შესაფასებელი პროფესიული კომპეტენტურობის დამხმარე მტკიცებულებად. კონკრეტული სახის კომპეტენტურობის მიღწევა შეიძლება გამოყენებული იყოს საწყისი პარამეტრების შესამოწმებლად, ან ზოგიერთ შემთხვევაში, საწყისი მოთხოვნის გარკვეული ნაწილის შემცვლელად.

პრაქტიკული გამოცდილების ზედამხედველობა და მონიტორინგი (იხ. 17-20 პუნქტები)

g15. პრაქტიკული გამოცდილების ზედამხედველი/კურატორი არის პროფესიონალი ბუღალტერი, რომელსაც ევალება პრაქტიკის პროცესში პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატისთვის მიმართულებების, რჩევების მიცემა და დახმარების გაწევა, რათა მან შეიძინოს საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება. პრაქტიკული გამოცდილების კურატორი პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატისა და ბსფ-ის წევრ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. პრაქტიკული გამოცდილების კურატორს შეიძლება ევალებოდეს პრაქტიკული გამოცდილების პერიოდის დაგეგმვა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატისთვის მითითებების/ინსტრუქციების მიცემა. ზოგიერთ გარემოში პრაქტიკული გამოცდილების კურატორი შეიძლება ასევე პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატისთვის მენტორის როლსაც ასრულებდეს. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების კურატორებისთვის სათანადო სწავლების ორგანიზება, ასევე მათი დახმარებისა და ხარისხის კონტროლის პროგრამების დანერგვაც.

g16. პრაქტიკული გამოცდილების კურატორს მონიტორინგის ფუნქციის შესრულებაში შეიძლება სხვა პირებიც ეხმარებოდნენ, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება არ იყოს პროფესიონალი ბუღალტერი.

g17. შემოწმებადი მტკიცებულება ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც არის ობიექტური, შესაძლებელია მისი დამტკიცება ფაქტებით და არსებობს ქაღალდზე (წერილობით), ან ელექტრონული ფორმით.

g18. პრაქტიკული გამოცდილების კურატორის მიერ შემოწმებადი მტკიცებულებებით გამყარებული პრაქტიკული გამოცდილების ჩანაწერების პერიოდული მიმოხილვის/შემოწმების ჩატარების

მიზანია, შემოწმდეს და დადასტურდეს, რომ შესრულებულია ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. გარდა ამისა, ამგვარი პერიოდული შემოწმების გამოყენება შესაძლებელია პიროვნების მიღწევების მდგომარეობაზე/პროგრესზე მონიტორინგის განსახორციელებლადაც. თუ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატის მიღწევები არ შეესაბამება მოსალოდნელს/დაგეგმილს, პრაქტიკული გამოცდილების კურატორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შეისწავლოს სიტუაცია, რათა გამოავლინოს მიზეზები და განსაზღვროს, რის გაკეთება შეიძლება პიროვნების მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამგვარი პერიოდული მონიტორინგის ჩატარება (ა) პრაქტიკული გამოცდილების კურატორს, დამსაქმებელსა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ პრაქტიკული გამოცდილების შეძენილი./მიღწეული დონე განიხილონ მონიტორინგის თარიღისთვის არსებული მდგომარეობით და (ბ) ხელი შეუწყონ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატის შემდგომ განვითარებას.

g19. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების მიერ შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების საკმარისობის შესაფასებლად ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) შეიმუშაონ და დანერგონ გარკვეული სისტემა (რომელიც შეიძლება შერჩევის მეთოდიკის გამოყენებას ითვალისწინებდეს) შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად და შედეგების ინფორმირებისთვის;

ბ) დამსაქმებლების, პრაქტიკული გამოცდილების კურატორებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის შეიმუშაონ დეტალური წერილობითი მითითებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება პრაქტიკული გამოცდილების პროგრამასთან და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების როლსა (ფუნქციებსა) და პასუხისმგებლობასთან;

გ) შეიმუშაონ და გამოიყენონ მექანიზმები დამსაქმებლების მისაღებლობის დასადგენად, კერძოდ, იმის დასადგენად, შეუძლიათ თუ არა მათ, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს მისცენ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება;

დ) პრაქტიკული გამოცდილებისთვის გამიზნული გარემო იქამდე შეაფასონ და დაამტკიცონ, სანამ კანდიდატები დაიწყებენ პრაქტიკას. მაგალითად, შესაძლებელია დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული პრაქტიკული გამოცდილების ხასიათისა და მოცულობი/მასშტაბების და პრაქტიკული მომზადების ღონისძიებების განხილვა, რათა გარანტირებული იყოს, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს სათანადო მიმართულებებს მისცემენ მუშაობის პროცესში, სათანადო ზედამხედველობასა და მენტორობას გაუწევენ, ასევე სათანადო რჩევებს მისცემენ და სათანადოდ შეაფასებენ მათ შედეგებს;

ე) შეიმუშაონ გარკვეული სისტემა, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლები პერიოდულად წარმოადგენენ ანგარიშს ცვლილებების ასახვის მიზნით, (თუ ასეთი იარსებებს) იმ პრაქტიკული გამოცდილების ხასიათში, მოცულობაში (მასშტაბებში) და შინაარსში, რომელსაც იღებენ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები;

ვ) საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებამდე შეაფასონ კანდიდატის მიერ მიღწეული პრაქტიკული გამოცდილების დონე, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისა და პრაქტიკული გამოცდილების კურატორების მიერ წარმოდგენილი წერილობითი არგუმენტების საფუძველზე (რაც შეიძლება დამატებით განმტკიცებული იყოს სიტყვიერი არგუმენტაციითაც) (იხ. ასევე გსს 6 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება*“ (2015);

ზ) ხელი შეუწყონ/ წაახალისონ დამსაქმებლები, რათა მათ შექმნან უკუკავშირის (შენიშვნებისა და მოსაზრებების მიწოდების) მექანიზმები პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისა და პრაქტიკული გამოცდილების კურატორებისთვის და მათი ინფორმირებისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატი დაეუფლება/მიაღწევს დაგეგმილ კომპეტენტურობის დონეს;

თ) მეთვალყურეობა გაუწიონ ადრე დამტკიცებულ დამსაქმებლებსა და პრაქტიკული გამოცდილების კურატორებს. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია დამსაქმებლისთვის რჩევის მიცემა იმ სფეროების შესახებ, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს, ან რეკომენდაციის მიცემა დამტკიცების გაუქმების შესახებ, თუ პირობები იმგვარად შეიცვალა, რომ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისი კრიტერიუმები დაკმაყოფილებული აღარ არის; და

ი) ჩაატაროს პერიოდული და დროული გამოკვლევა იმ კომპეტენციების, რომლის დაუფლებაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბულალტრობის კანდიდატებს, რათა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ კანდიდატი იძენს საკმარის პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც გამყარებულია სათანადო შემოწემადი მტკიცებულებებით, მაგალითად, სამუშაოს სარეგისტრაციო ჟურნალის ჩანაწერებით.

ა20. გსს 6 – „*საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება*“ (2015) ადგენს პრინციპებს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს შეფასების პროცედურები/სისტემა, რომელიც გამოიყენება პრაქტიკული გამოცდილების საკმარისობის შესაფასებლად.

ა21. პროფესიონალი ბულალტრობის კანდიდატების პრაქტიკული გამოცდილების საკმარისობის შესაფასებლად შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. ამგვარ მეთოდებს განეკუთვნება, მაგალითად სამუშაო ადგილებზე შეფასება, რაც აღწერილია გსს 2-ში – „*საწყისი პროფესიული განვითარება – ტექნიკური კომპეტენტურობა (2015)*“, *გსს 3-ში – „ საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული უნარები (2015)*“ *და გსს 4-ში „საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა (2015)*“, ამ სტანდარტების შესაფერისი სფეროებისთვის.